ბიჟან ფაზლოლაჰი



ემერიტუს-პროფესორი

ფილოსოფიის დოქტორი და ინჟინერი

რობინსონის ბიზნესის კოლეჯის დირექტორი

ემერიტუს-პროფესორმა ბიჟან ფაზლოლაჰმა კავკასიის უნივერსიტეტისგან საპატიო დოქტორის წოდება 2009 წელს მიიღო. იგი არის MIT-ის ბაკალავრის ხარისხის მფლობელი, ხოლო MBA და დოქტორის ხარისხი დაიცვა სირაკუზის უნივერსიტეტში.

ემერიტუს-პროფესორი ფაზლოლაჰი მასწავლებელი და მკვლევარია რობინსონის ბიზნესის კოლეჯში. ამავდროულად მსახურობს გარდამავალი ეკონომიკის ბიზნესის განვითარების ცენტრში დირექტორის პოზიციაზე. BBA, MBA, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დაარსების მიზნით, ის ხელმძღვანელობს აშშ-ის მთავრობასა და კერძო უნივერსიტეტებს შორის პარტნიორობის რამდენიმე პროექტს ეგვიპტეში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. უახლოეს წარსულში მან მიიღო გრანტები USAID-გან დოქტორანტურისთვის საქართველოში და BBA-თვის ეგვიპტეში.

2004 წლის ნოემბერში პრეზიდენტის ბრძანებულებით მას მიენიჭა საქართველოს საპატიო მოქალაქის სტატუსი. იგი ასევე მსახურობდა ფულბრაიტის მეცნიერად ყოფილ სსრკ-ში. მისი კვლევის სფეროა საინფორმაციო სისტემები და გადაწყვეტილების მხარდაჭერის სისტემები.

ემერიტუს-პროფესორი ფაზლოლაჰი ასწავლის გლობალური ოპერაციებისა და ლოგისტიკის, საერთაშორისო ბიზნესისა და საინფორმაციო სისტემების კურსებს აშშ-ს და მის ფარგლებს გარეთ. იგი ასწავლიდა აზერბაიჯანში, ეგვიპტეში, საქართველოში, პოლონეთში, სამხრეთ აფრიკასა და ირანში. მან ასევე მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზებაში გერმანიაში, თურქეთში, კვიპროსსა და უზბეკეთში. ამასთან, ის მუშაობდა ინჟინრად აშშ-ში და გენერალურ მენეჯერად, ქარხნის მენეჯერად, პორტებისა და ნავიგაციის ოპერაციების დირექტორად და მთავარ ინჟინრად ირანის სხვადასხვა ორგანიზაციაში.

Bijan Fazlollahi

Professor Emeritus

Doctor of Philosophy and Engineer

Director, Robinson College of Business

Professor Emeritus Fazlollahi received his Honorary Doctorate from Caucasus University in 2009. He has earned a BS degree from MIT and MBA and Ph.D. degrees from Syracuse University.

Professor Emeritus Fazlollahi is a teacher and a researcher at the Robinson College of Business. He serves as the Director of Center for Business Development in Transitional Economics. He directs several U.S. Government and privately funded university partnership projects for the establishment of BBA, MBA, MS, and Ph.D. programs in Egypt, Azerbaijan, and Georgia. His latest grants are from the USAID for Ph.D. in Georgia and for BBA in Egypt.

He was awarded Honorary Citizen of Georgia in November 2004 by Presidential Decree. He also served as a Fulbright scholar in the former USSR. His research is in the field of Information Systems and Decision Support Systems.

Professor Emeritus Fazlollahi teaches International Business, Global Operations and Logistics, and Information systems courses in the U.S. and abroad. He has taught in Azerbaijan, Egypt, Georgia, Poland, South Africa, and Iran. He has also taken part in organizing International Conferences in Germany, Turkey, Cyprus, and Uzbekistan. He also served as Engineer in the US and General Manager, Plant Manager, Ports and Navigation Operations Director, and Chief Engineer for various organizations in Iran.